პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 239 (5269)

1974 წ. 3 დეკემბერი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნინა დრონოვა პირველია, რუსუდან სიხარულიძე — მეორე

ნაგოია, 1 დეკემბერი. იაპონიის ამ ქალაქში განუზომელი ინტერესი გამოიწვია მასპინძელი ქვეყნის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ტანმოვარჯიშეთა ორდღიანმა საერთაშორისო შეჯიბრებამ.

მრავალჭიდში გაიმარჯვეს: ქალთა შორის — თბილისელმა ნ. დრონოვამ (88,25 ქულა), ხოლო ვაჟებში — იაპონელმა ხ. კაძიიამამ (57,23).

ქალთა ტურნირში ასევე საუცხოოდ იასპარეზა ბათუმელმა რ. სიხარულიძემ, რომელმაც 88,05 ქულა დააგროვა. ვაჟებში მეორე იყო ვლადიმირელი ნ. ანდრიანოვი, რომელიც გამარჯვებულს სულ 0,05 ქულით ჩამორჩა.

სამწუხაროდ, ამ ტრადიციულ პირად შეჯიბრებაში მონაწილეობა ვერ მიიღო მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა, როსტოველმა ლ. ტურიშჩევამ. იგი 28 ნოემბერს გაცივდა აკიტაში, სადაც საბჭოთა სპორტსმენებს საჩვენებელი გამოსვლები ჰქონდათ.

## საქართველოს გუნდი III ადგილზეა

დონის როსტოვი, 1 დეკემბერი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს რუსეთის „კლასიკოსებმა", რომლებმაც ერთწლიანი „შესვენების" შემდეგ ეს საპატიო პრიზი დაიბრუნეს.

თასის შარშანდელი მფლობელი — საქართველოს ნაკრები III ადგილზეა.



საკვირი ...

## მშდ კომპლექსის ნარჩინებულთან ერთად

ვერხნედნეპროვსკის რაიონის გაზელექტროშემდუღებელმა, 40 წლის ვ. ვორობიოვმა საგრძნობლად გაუსწრო მძლეოსნური კროსის მონაწილეებს, რომელთა შორის მწვრთნელები და ფიზკულტურის ინსტრუქტორებიც იყვნენ. სწორედ მას ხვდა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში სასოფლო სპორტსაზოგადოება „კოლოსის" საოლქო სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება.

ვორობიოვმა ჯერ კიდევ შარშან მიიღო მშდ კომპლექსის ოქროს სამკერდე ნიშანი წარჩინებით. ასეთი სპორტული ნიშნის მისაღებად კი აუცილებელია არა მარტო კომპლექსის მეოთხე საფეხურის მოთხოვნებისა და ნორმების შესრულება, არამედ ერთი პირველი თანრიგიც (ან ორი მეორე) სპორტის რომელიმე სახეობაში. ვორობიოვს კი ოთხი პირველი თანრიგი აქვს — მძლეოსნობაში, სიმძიმეების აწევაში, კლასიკურ ჭიდაობასა და სათხილამურო სპორტში.

ყოველ დილით, მუშაობის დაწყებამდე, შემდუღებელი მრავალკილომეტრიან ველოკროსს ასრულებს (ეს მუხლის სახსრის თავისებური ვარჯიშიც არის). ვორობიოვი სოფლებში წყალგაყვანილობის საქვაბეების მემონტაჟე და შემკეთებელია, საღამოს კი დნეპროძერჟინსკში მეტალურგიულ ინსტიტუტში დადის მეცადინეობებზე.

ვორობიოვი თითქმის მთელ თავისუფალ დროს თავის 11 წლის ვაჟ ვიტალისთან და მეუღლე ნადეჟდასთან ერთად სტადიონზე ან სპორტულ დარბაზში ატარებს. ამ დროს იგი მწვრთნელის როლშია — „ოჯახურ გუნდს" მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად ამზადებს. ვიტალი და ნადეჟდა ნიჭიერი მოწაფეები არიან. მათ უკვე წარმატებით შეასრულეს რამდენიმე ნორმა საკავშირო სპორტული კომპლექსის პროგრამით.

ნ. სმოტრიაკოვი.

ვერხნედნეპროვსკი,
დნეპროპეტროვსკის ოლქი.

## სპორტული მეცნიერების ფორუმის წარმატება

სპორტი და ფიზიკური კულტურა საბჭოთა ქვეყანაში აღიარებულია ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდის უმნიშვნელოვანეს საშუალებად, ადამიანისა, რომელშიც ჰარმონიულად არის ერთმანეთთან შეხამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა. ამის შესახებ ილაპარაკა 30 ნოემბერს მოსკოვში სპორტის მეცნიერებათა საერთაშორისო კონგრესის დასკვნით სხდომაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა.

დღეს, როცა კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო სახავენ მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის საყოველთაო-სახალხოდ გადაქცევის გრანდიოზულ ამოცანას, წარმოიშვა სპორტული მეცნიერების სხვადასხვა სფეროში კვლევის გაფართოების აუცილებლობა. სპორტული მოძრაობის აქტუალურ პრობლემებს ამუშავებენ არა მარტო სპეციალური ფიზკულტურის ინსტიტუტები, არამედ ისეთი ავტორიტეტული დაწესებულებები, როგორიც არიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემია, სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემია.

ამჟამად, როგორც ს. პავლოვმა ხაზგასმით აღნიშნა, უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს (ყოველწლიურად დაახლოებით 22 ათასი კურსდამთავრებული) 220 სასწავლებელი ამზადებს, სამეცნიერო კადრებს — ასი სასწავლო და სამი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ფართოვდება ფუნდამენტური კვლევა ფიზკულტურისა და სპორტის სფეროში. 1974 წლის დამდეგისთვის დაცული იყო 1500 საკანდიდატო და 70-ზე მეტი სადოქტორო დისერტაცია. საინტერესოა, რომ 1950 წლიდან 1970 წლის ჩათვლით საბჭოთა კავშირში სამეცნიერო კვლევისთვის გამოყოფილი თანხა 11-ჯერ გაიზარდა.

ფიზკულტურული დაწესებულებებისა და სწავლულთა ერთობლივი მუშაობის ერთ-ერთი დადებითი შედეგია შექმნა მშდ კომპლექსისა, რომელიც არსებითად ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის პროგრამა და სანორმატივო საფუძველია. მშდ კომპლექსის მიზანია ფაქტიურად ყველა საბჭოთა ადამიანის ჩაბმა ფიზკულტურასა და სპორტში. კომპლექსმა მნიშვნელოვანწილად ხელი უნდა შეუწყოს იმ გეგმის ხორცშესხმას, რომლის თანახმადაც 1990 წლისთვის ფიზკულტურელთა არმია ორჯერ უნდა გაიზარდოს.

ს. პავლოვმა აღნიშნა საბჭოთა სახელმწიფოს უდიდესი როლი საბჭოთა კავშირში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში,ურომლისოდაც წარმოუდგენილი იყო დღევანდელ წარმატებათა მოპოვება.

სპორტს, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის სიტყვით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პერიოდში. იგი ხელს უწყობს ხალხთა შორის თანამშრომლობის განვითარებას და მეგობრობის განმტკიცებას. წლეულს საბჭოთა სპორტულმა ორგანიზაციებმა 87 ქვეყანასთან განახორციელეს დელეგაციათა გაცვლა-გამოცვლა.

დასკვნითი სიტყვით გამოვიდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საერთაშორისო კავშირის (სიეპს-ი) პრეზიდენტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ფ. ნოელ-ბეიკერი (დიდი ბრიტანეთი). მან ხაზგასმით აღნიშნა დიდი მნიშვნელობა 45 ქვეყნის წარმომადგენელთა ამ შეხვედრისა, რომელიც ხელს შეუწყობს შემდგომი კვლევის გზებისა და მიმართულებების განსაზღვრას. ფ. ნოელ-ბეიკერმა მადლობა გადაუხადა ფორუმის ორგანიზატორებს კონგრესის საუცხოოდ ჩატარებისთვის.

კონგრესის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა მთელი მსოფლიოს სწავლულებისა და ფიზიკური კულტურის სპეციალისტებისადმი.

დამსწრენი ტაშით შეხვდნენ სიეპს-ის პრეზიდენტის წინადადებას, რომ კონგრესის მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. კოსიგინისთვის. (საკდესი).

## ექნებათ 90-მეტრიანი ტრამპლინი

ნიჟნი ტაგილის შემოგარენში, დოლგაიას მთაზე შენდება 90-მეტრიანი ტრამპლინი, რომელიც პირველი იქნება ურალში. ამ მშენებლობის დამთავრებას ვისოკოგორსკის მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი პროფკავშირთა VIII ზამთრის სპარტაკიადის ფინალური სტარტებისთვის ვარაუდობს. საჭიროა 140 ათასამდე კუბმეტრი მიწის გადატანა, ათობით ტონა ლითონკონსტრუქციის დადგმა.

ამწე ლიფტით აღჭურვილი ტრამპლინი შევა სამთო-სათხილამურო ბაზის კომპლექსში, რომელსაც ვისოკოგორსკელები თავიანთი სპორტსმენებისთვის აგებენ. აქ უკვე ჩადგა მწყობრში კეთილმოწყობილი პანსიონატი, თხილამურების გამქირავებელი ბაზა — ოლქში სპორტსმენებმა თავად გაიყვანეს პლასტიკურსაფარიანი ხელოვნური სათხილამურო სარბიელის 500-მეტრიანი წრე და წვრთნას პირველ თოვლამდე დიდი ხნით ადრე იწყებენ.

კომპლექსისთვის იგეგმება კიდევ ორი ნაგებობა: კინოდარბაზი, მოთელვისა და საწვრთნელი დარბაზები.

მშენებლობას აფინანსებს მაღაროელთა პროფკავშირული ორგანიზაცია. სათხილამურო სპორტს აქ განსაკუთრებით პატივს სცემენ. ყოველი მაღაროელი ზამთრობით თავისი ბაზის ხშირი სტუმარია. ყოველი მეორე სპორტკლუბ „ვისოკოგორეცის" წევრია და აპირებს მონაწილეობა მიიღოს პროფკავშირთა ზამთრის სპარტაკიადაში.

ნიჟნი ტაგილი.

## მოტობურთი უკიდურეს ჩრდილოეთში

ოთხი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც მირნიში მოტობურთელთა გუნდი გამოჩნდა, მაგრამ წლეულს იაკუტელმა სპორტსმენებმა რუსეთის ფედერაციის ფინალურ შეჯიბრებაში უკვე ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

იაკუტთა მხარეში სპორტის ამ სახეობის „პირველაღმომჩენად" შეიძლება სპორტის ოსტატი, ამჟამად „ვილიუის" (ასე ჰქვია მირნის მოტობურთელთა რაზმს) მწვრთნელი ა. ბიკოვი ჩაითვალოს, რომელიც ამ მკაცრ მხარეში ნევინომისკიდან ჩამოვიდა. მოტობურთი ისეთი თამაშია, რომ ერთნაირად იზიდავს როგორც სპორტული აზარტით შეპყრობილ ახალგაზრდებს, ისე ტექნიკით გატაცებულ ხალხს. ასეთი კი ბევრია ამ მხარეში.

ამ სამხედრო-ტექნიკური სახეობის მოყვარულებს ვერც უკიდურესი ჩრდილოეთის რთული კლიმატური პირობები აფერხებს: საწვრთნელ მეცადინეობებსა და შეხვედრებს ისინი ადრე გაზაფხულზე იწყებენ, როცა ირგვლივ ჯერ კიდევ თოვლი დევს, ხოლო ამთავრებენ „ბურთით რბოლას" უკვე გვიან შემოდგომაზე, როცა მიწა უკვე თეთრ საბურველშია გახვეული.

მირნის სპორტსმენები თავიანთი საყვარელი სახეობის ჩინებული პროპაგანდისტები არიან. სხვათა შორის „ვილიუი" ყველაზე ახალგაზრდა გუნდია რუსეთში. გუნდის ყველაზე უფროსი წევრი — მოთამაშე მწვრთნელი ბიკოვი — 27 წლისაა, ყველაზე უმცროსი — ი. ვასინი — 17 წლისა. მირნელი სპორტსმენების მაგალითი გადამდები აღმოჩნდა: ახლა „მოტობურთის ცენტრები" გაჩნდა იაკუტსკში, ლენსკში, ჩერნიშევსკში, აიხალში და სხვაგან.

რ. კოზმინი.

მირნი,
იაკუტთა ასსრ.

## პირველი შედეგები

როგორც ცნობილია, ლენინგრადში სტარტი აიღო სსრ კავშირის ვაჟთა 42-ე საჭადრაკო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირმა.

I ტურში ე. ვასიუკოვმა (მოსკოვი) მოუგო ვ. ცეშკოვსკის (ომსკი), გ. კუზმინმა (ვოროშილოვგრადი) — მოსკოვის ჩემპიონს ბ. გულკოს.

ყაიმზე შეთანხმდნენ ვ. სავონი (ხარკოვი) — რ. ვაგანიანი (ერევანი), მ. დვორეცკი — კ. გრიგორიანი, ი. ბალაშოვი (სამივე — მოსკოვი) — ლ. ალბურტი (ოდესა). მ. ტაიმანოვ (ლენინგრადი) — ვ. კუპრეიჩიკისა (მინსკი) და მ. ტალ (რიგა) — ლ. პოლუგაევსკის (მოსკოვის ოლქი) პარტიები გადაიდო. არ შედგა ო. რომანიშინ — ა. ბელიავსკის (ორივე — ლვოვი) პარტია.

II ტურში ცეშკოვსკი (თეთრები) მეორედ დამარცხდა. ესპანურ პარტიაში იგი ვერ გაერკვა ტალის ჩანაფიქრში და მეტოქის გამსვლელმა პაიკებმა ბოლისწინა ჰორიზონტალს შეუფერხებლად მიაღწიეს.

დაზავდნენ ბელიავსკი — ტაიმანოვი, კუზმინი — დვორეცკი და პოლუგაევსკი — ბალაშოვი.

სხვა პარტიები გადაიდო.

### ხვალ

ჭადრაკის სასახლეში (ლენინის ქ. № 87) გაიმართება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი.

დღის წესრიგი: „დინამოს" რესპუბლიკური ორგანიზაციების ამოცანები ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის შემდგომი განვითარებისთვის „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 8 ივნისის დადგენილების საფუძველზე.

დასაწყისი 12 ს.



## მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 30 ნოემბერი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, 33-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ნომრები და სპორტის სახეობები:

„სპორტლოტო" — 6 (კალათბურთი), 9 (ჭიდაობა), 23 (მძლეოსნობა), 37 (სროლა), 40 (ტურიზმი), 46 (ჰოკეი);

„სპორტლოტო-2" — 7 (ბიატლონი), 9 (ჭიდაობა), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 23 (მძლეოსნობა), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 32 (წყალში ხტომა).

## ხელბურთი-74

● ბუქარესტი, 1 დეკემბერი. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების საპასუხო მერვედფინალური მატჩიც წააგო ადგილობრივ „სტიაუასთან". მასპინძლებმა მწვავე ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს — 21:20. ამრიგად, მოსკოველები გამოეთიშნენ შეჯიბრებას.

● ვილნიუსი, 1 დეკემბერი. აქ და კაუნასში მიმდინარეობს ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ მსოფლიო ჩემპიონი — რუმინეთის ეროვნული გუნდი, უნგრეთის ნაკრები, მიუნჰენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი — ჩეხოსლოვაკიის კოლექტივი, სსრ კავშირის ნაკრები, საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდული გუნდი და ლიტვის ნაკრები. ჯერჯერობით დაუმარცხებლად თამაშობენ რუმინეთისა და უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. ამ წყვილთა შეხვედრებში გამარჯვებულნი ფინალში ეთამაშებიან ერთმანეთს.

● პრაღა, 1 დეკემბერი. დიდი ინტერესი გამოიწვია ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე ქალთა გუნდების ამხანაგურმა მატჩმა. ბრძოლა მძაფრი გამოდგა. საბჭოთა კოლექტივმა 0,1 ქულით აჯობა მასპინძლებს.

VI СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР 1975

## ვემზადოთ სსრ. კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

# დროულად ვიზრუნოთ

დღეს ყველასთვის ცნობილია, რომ სპორტსმენის ყოველმხრივი მომზადებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კარგ ფიზიკურ მდგომარეობას. ამისთვის პირველ ყოვლისა აუცილებელია გამძლეობის განვითარება, თუმცა ერთდროულად საჭიროა ძალისა და სისწრაფის გამომუშავებაც. სპორტსმენის ყოველმხრივი კარგი ფიზიკური მომზადება გარდაუვალი პირობაა „დიდ სპორტში", რასაც მხოლოდ ინტენსიური წვრთნით მივაღწევთ.

იბმის კითხვა, შეუძლია თუ არა ყველა სპორტსმენს მიაღწიოს ფიზიკური მომზადების მაღალ დონეს? პასუხი ერთია: დიახ, ეს შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ წვრთნის პროცესი რაციონალურად იქნება წარმართული. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თითოეული სპორტსმენი ფიზიკური ვარჯიშის მიმართ ინდივიდუალურ რეაქციას ავლენს. მართალია, კუნთური მუშაობის ზეგავლენით ყველა სპორტსმენის ორგანიზმი განიცდის ერთნაირი ხასიათის მორფოლოგიურ და ფუნქციურ ცვლილებებს, მაგრამ ეს ცვლილებები სხვადასხვა პიროვნებაში სხვადასხვა ინტენსივობით არის გამოხატული. სპორტსმენის ორგანიზმის შეგუების (ადაპტაციის) უნარი საწვრთნელი მეცადინეობის მიმართ ყველა შემთხვევაში ერთნაირი მრუდით არ გამოიხატება, ვინაიდან იგი ინდივიდუალურია. სწორედ ამიტომ, ინტენსიური წვრთნის პროცესში არც თუ იშვიათია სპორტსმენთა გადაღლა, გადაძაბვა და, ბოლოს, „გადაწვრთნა", რაც ძალიან აფერხებს მის შემდგომ მზადებას.

თანამედროვე წვრთნა მეცნიერულ საფუძვლებს ემყარება. ამიტომ მისი სწორად წარმართვა წარმოუდგენელია სამედიცინო მეთვალყურეობის გარეშე. ამ საკითხის გაგებაში ზოგიერთი მწვრთნელი შეცდომას უშვებს: იგი ახალგაზრდა სპორტსმენში ხედავს მხოლოდ დაუშრეტელ ძალას, ენერგიას და ავიწყდება, რომ გავარჯიშების მდგომარეობასა და „გადაწვრთნას" შორის ძალიან პატარა მანძილია. ამიტომაც ხდება, რომ სპორტსმენის ორგანიზმი ეგრეთ წოდებულ პათოლოგიურ ან პათოლოგიის წინა მდგომარეობაში სწორედ წვრთნის მაღალი დონის დროს შეიძლება აღმოჩნდეს, თუ ფიზიკური დატვირთვა გადაჭარბებული იქნა. სადღეისოდ „დიდ სპორტში" წვრთნა მთელი წლის განმავლობაში მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობის — საექიმო კონტროლის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს, ვინაიდან ამან შეიძლება თვალსაჩინო როლი შეასრულოს საპასუხისმგებლო შეჯიბრებამდე სპორტსმენის „ფორმაში ჩაყენების" თვალსაზრისით.

როგორ არის ჩვენს რესპუბლიკაში ნაკრები გუნდების სამედიცინო მომსახურება? თამამად შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკურ, თბილისის უფროსთა № 1 და ბავშვთა № 2 საექიმო ფიზკულტურის დისპანსერებში შექმნილია ყველა პირობა იმისთვის, რომ სპორტსმენთა დისპანსერიზაცია მაღალკვალიფიციურ დონეზე წარმოებდეს. დისპანსერიზაცია პირველი და მთავარი ეტაპია საექიმო კონტროლისა, ამიტომ მისი დროულად გავლა სპორტსმენისთვის აუცილებელ პირობად უნდა იქნეს მიჩნეული. ამ მიზნით საჭიროა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადასთან დაკავშირებით საქართველოს ნაკრები გუნდების ყველა წევრმა დეკემბერ-იანვარში უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება.

მეორე მნიშვნელოვანი მხარე სპორტსმენთა საექიმო მომსახურებაში სისტემატური სამედიცინო მეთვალყურეობაა. ამაში პირველ ყოვლისა იგულისხმება სპორტსმენთა ეგრეთ წოდებული საექიმო-პედაგოგიური კონტროლი, რასაც ექიმი და მწვრთნელი უშუალოდ საწვრთნელი მეცადინეობის პროცესში ახორციელებენ. ამ დროს აღირიცხება სპორტსმენის ორგანიზმის მიერ კუნთური მუშაობის მიმართ გამოვლენილი რეაქცია, რის საფუძველზეც შეიძლება მოხდეს წვრთნის პროცესის რეგულაცია. საექიმო-პედაგოგიური მეთვალყურეობის მიზნით საექიმო ფიზკულტურის დისპანსერების მიერ ნაკრებ გუნდებზე მიმაგრებული არიან ექიმები, რომლებმაც ეს მუშაობა უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების ექიმებთან ერთად უნდა ჩაატარონ. მაგრამ განმარტებისთვის აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საექიმო-პედაგოგიური კონტროლის უდიდესი ნაწილი მაინც სპორტსკოლების ექიმებმა უნდა განახორციელონ სპორტულ ბაზებზე მომუშავე მედპერსონალთან ერთად. დისპანსერიზატორებმა კი პერიოდულად უნდა შეაჯამონ მიღებული მონაცემები სხვა საექიმო გამოკვლევებთან ერთად და მისცენ მწვრთნელებს თითოეული სპორტსმენის სამედიცინო დახასიათება.

როგორ ვმუშაობთ ამ მხრივ სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში? სამწუხაროდ, ჩვენი მუშაობის დონე ჯერ კიდევ არ შეეფერება დღევანდელ მოთხოვნებს. სპორტულ ბაზებზე და სპორტსკოლებში მომუშავე ყველა ექიმი არ ატარებს რეგულარულად საექიმო-პედაგოგიურ კონტროლს. ზოგიერთი საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის ექიმები ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს. მაგრამ საყვედური მარტო ექიმების მიმართ არ შეიძლება ითქვას. ეს ზოგიერთ მწვრთნელსაც ეხება. ბევრი მწვრთნელი უგულებელყოფს საექიმო-პედაგოგიურ კონტროლს, საჭირო ზომებს არ მიმართავს საწვრთნელი მეცადინეობების გამცდენ სპორტსმენთა მიმართ, რაც აფერხებს შედარებით ზუსტი ფიზიოლოგიური მონაცემების მიღებას და სხვ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახალი წლის დასაწყისშივე საჭიროა მწვრთნელებმა და ექიმებმა შეადგინონ საექიმო-პედაგოგიური კონტროლის კონკრეტული გეგმა, დასახონ ამოცანები და ერთობლივად წარმართონ საქმიანობა. ამ მუშაობაში შეიძლება ნაკრებ გუნდებს დაეხმარონ სპორტის სახეობათა მიხედვით შექმნილი სამეცნიერო ბრიგადები.

რაც შეეხება სპორტსმენთა საექიმო შემოწმებას შეჯიბრებების წინ და უშუალოდ სპორტულ ღონისძიებათა მომსახურებას, ამ მხრივ ბოლო წლებში ჩვენი რესპუბლიკის საექიმო ფიზკულტურის დისპანსერებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა.

წარმატებით მონაწილეობა ხალხთა VI სპარტაკიადაში — აი, ის მთავარი ამოცანა, რომლის წარმატებით გადაწყვეტაც სპორტსმენის, მწვრთნელისა და ექიმის გულმოდგინე, შეთანხმებულ მუშაობას მოითხოვს. სპორტსმენთა სამედიცინო მომსახურების საქმე ერთნაირად ეხებათ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და სპორტკომიტეტს. ამიტომ საჭიროა ერთობლივი მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება.

**რ. სვანიშვილი,**
რესპუბლიკის საექიმო ფიზკულტურის სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე.

# შედეგები, ხარვეზები, პრობლემები...

ამას წინათ ბათუმში, „დინამოს" სტადიონზე, დამთავრდა საქართველოს პირველობა ბალახის ჰოკეიში. ქალაქის ქუჩებში გამოკრული აფიშები სპორტის მოყვარულებს შეჯიბრების სანახავად უხმობდნენ. სტადიონის დირექციამაც იზრუნა ჩემპიონატის კარგად მოწყობისთვის. მსაჯთა კოლეგიას საშუალება ჰქონდა მატჩების მსვლელობისას მაყურებლებისთვის გაეცნო თამაშის წესები.

პირველ დღეს შეჯიბრება გახსნეს თბილისისა და ქუთაისის გუნდებმა. მსაჯობდნენ საკავშირო კატეგორიის არბიტრები, ერევნელები ვ. მაკაროვი და გ. ტერიანი. ამ გუნდებს უწინაც უთამაშიათ ერთად და ამიტომ საკმაოდ კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. მატჩის მთელი პირველი ნახევარი (ტაიმი კი 35 წუთს გრძელდება) თბილისელებმა ქუთაისელთა მხარეზე გაატარეს. მათ, სულ ცოტა, ხუთჯერ მაინც ჰქონდათ გოლის გატანის საშუალება. ქუთაისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შესანიშნავად ააგეს დაცვა და მეტოქეს ანგარიშის გახსნის საშუალება არ მისცეს.

შესვენების შემდეგ სურათი შეიცვალა. ახლა უკვე ქუთაისელები გადავიდნენ იერიშზე და მე-3 წუთზე მათი ერთ-ერთი შეტევა გოლით დააგვირგვინა თ. მინდიაშვილმა — 1:0.

ამის შემდეგ თამაში ორმხრივი იერიშებით მიმდინარეობდა. მეტი ენერგიით თბილისელები გამოირჩეოდნენ, მაგრამ როგორც ასეთ შემთხვევაში ხშირად ხდება, ისინი აღელდნენ, აჩქარდნენ, ვერ გამოიყენეს გოლის გატანის შესაძლებლობა და დამარცხდნენ.

მეორე დღეს თბილისელებმა წააგეს (2:3) ბაქოს — ძლიერ კოლექტივთან, ხოლო მესამე დღეს დიდი ანგარიშით დამარცხდნენ ბათუმის ნაკრებთან — 1:4. ბათუმელთა ეს მოგება საკმარისი გამოდგა რესპუბლიკის პირველი ჩემპიონების სახელის მოპოვებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი მატჩის დროს განუწყვეტლივ წვიმდა...

II ადგილზე გავიდნენ ქუთაისელები, ხოლო III — თბილისელები.

შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობდნენ ბაქოელი ჰოკეისტები. წლეულს მათ ყველას აჯობეს პირველი ლიგის გუნდების საკავშირო შეჯიბრებაში, სულ ახლახან კი ერევანში გამართულ ტურნირში გაიმარჯვეს. ბაქოელებმა შეჯიბრება დაუმარცხებლად განვლეს.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა სპეციალურად მოიწვია ბაქოს გუნდი, რათა საქართველოს სპორტსმენებს შესაძლებლობა ჰქონოდათ ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში თამაშის კლასი აემაღლებინათ.

ცალკეულ მოთამაშეთაგან უნდა გამოვყოთ ბათუმელთა მეკარე თ. ბარამიძე, ქუთაისელები შ. ბაზაძე, ჯ. გაბიძაშვილი, თბილისელები ა. თაყაიშვილი, თ. ლომიაშვილი, თ. ალთუნაშვილი, თ. სხირტლაძე.

დასასრულს უნდა გავიხსენოთ ერთი უსიამოვნო შემთხვევაც. ქუთაისელმა ა. თევდორაძემ შეუფერებელი საქციელი იკადრა: ჯერ ერევნელი მსაჯები გალანძღა, მერე კი ბაქოელ ა. სულეიმანოვს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა განიხილა ა. თევდორაძის საქციელი და მას სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა, ხოლო ქუთაისელთა მწვრთნელს თ. არჩაიას საყვედური გამოუცხადა.

რესპუბლიკური პირველობა უკან დარჩა. გვჯერა, რომ ბალახის ჰოკეი საქართველოში ღრმად გაიდგამს ფესვებს.

**ი. ტერუნაშვილი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბათუმი.

* * *

სურათებზე: თამაშის მომენტი; რესპუბლიკის ჩემპიონი — ბათუმის გუნდი.
თ. ტერუნაშვილის ფოტოები.





# 10 სახეობა, 23 კოლექტივი

ერთ თვეზე მეტხანს გაგრძელდა კასპის რაიონული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში სპორტის 10 სახეობა იყო. სპარტაკიადაში მონაწილეობდა ფიზკულტურის 22 კოლექტივი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონობა მოიპოვა ქარხანა „კასპიელექტროაპარატის" კოლექტივმა — 232,5 ქულა. II ადგილი დაიკავა ინდუსტრიული ტექნიკუმის ნაკრებმა — 214. III ადგილზეა დოესის კოლმეურნეობის გუნდი — 195,5.

ქარხანა „კასპიელექტროაპარატის", ინდუსტრიული ტექნიკუმის, ოკამის საბჭოთა მეურნეობის, დოესის კოლმეურნეობის გუნდები შეჯიბრებაში ორგანიზებულად ჩაებნენ და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს. ამას ვერ ვიტყვით ნოსტეს კოლმეურნეობის, კასპის ავტოსატრანსპორტო საწარმოს, ხოვლეს კოლმეურნეობის, ქსნის საბჭოთა მეურნეობისა და მეტეხის სამშენ მასალათა კომბინატის ფიზკულტურულ ორგანიზაციებზე, რომლებმაც სპარტაკიადაში ან სულ არ მიიღეს მონაწილეობა, ან მხოლოდ რამდენიმე სახეობაში იასპარეზეს და ისიც არაორგანიზებულად. ეს იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ფიზკულტურულ მუშაობას, კონტროლსა და დახმარებას არ უწევენ ფიზკულტურის მეთოდისტებს.

**ლ. ელისაბედაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

კასპი.

## გოგონათა და ჭაბუკთა 17 გუნდი

საჩხერეში მოეწყო მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირი კალათბურთში. სარბიელზე გამოვიდა საშუალო სკოლების ჭაბუკთა და გოგონათა 17 გუნდი.

ჭაბუკებში პირველობა არავის დაუთმო საჩხერის მე-2 საშუალო სკოლის ნაკრებმა. გოგონათა შორის გამარჯვება საირხეს სკოლის გუნდს დარჩა.

**ა. ანასაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

საჩხერე.

## [illegible]

## კარის ძელები... აივნისთვის

პატივცემულო რედაქცია, ჩვენ, გორის რაიონის სოფელ შავშვების ახალგაზრდები გაწუხებთ, გვინდა ჩვენი გასაჭირი გაგიზიაროთ.

სოფლის ახალგაზრდობას გასართობი და დასასვენებელი ადგილი არა გვაქვს. თუ კლუბის აშენება ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული, მარტივი ტიპის ფეხბურთის მინდვრის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნების მოწყობა ხომ შეიძლება? ჩვენი სახსრებითა და შრომით ფეხბურთის მინდორი მოვაწყვეთ, მაგრამ მეურნეობის ხელმძღვანელობამ კარის ძელები აიღო და საკუთარი სახლის აივნისთვის გამოიყენა.

იქნებ თქვენ მაინც გვიშველოთ რამე!

სოფელ შავშვების ახალგაზრდობის სახელით: ც. წარიალაშვილი, ნ. მილეთაშვილი, გ. წარიალაშვილი, ზ. გაგლოშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სსრ კავშირის პირველობა

# რეზერვიც ასეთი უნდა!

უკვე მერამდენე ტურია ცსკა-ს დუბლიორები საკავშირო ტურნირის ერთპიროვნულ ლიდერებად ითვლებიან. არმიელებს ჯერ არც ერთი შეხვედრა არ წაუგიათ.

ჩვენ თბილისში ლიდერის ორი თამაში ვნახეთ. გულახდილად უნდა ვთქვათ: გუნდმა დიდებული შთაბეჭდილება დატოვა. უფრო მეტიც: არმიელთა დუბლიორებს, ჩვენი აზრით, თამამად შეუძლიათ თამაში ძირითად ტურნირშიც. გუნდის შემადგენლობაში ვერ ნახავთ ვერც ერთ გამოცდილ კალათბურთელს — ყველანი ახალგაზრდები არიან, არმიელთა სპორტსკოლის აღზრდილები. ყველაზე „სტაჟიანს" მათ შორის ვ. გოძელსკის მხოლოდ ერთხელ თუ ორჯერ უთამაშია ძირითად შემადგენლობაში. დანარჩენები ნამდვილი ახალბედები არიან. აი, რეზერვიც ასეთი უნდა!

სხვათა შორის, რეზერვის საქმე კარგად აქვს მოსკოვის „დინამოსაც". ეს გუნდი მუდამ სწრაფი, აგრესიული თამაშისკენ ილტვოდა და დუბლიორებმაც გადაიღეს უფროსების ჩვევა. „დინამოს" დუბლიორებს დღესდღეობით ყველაზე შედეგიანი თავდასხმა ჰყავთ, აგრეთვე, გატანილი და მიღებული ქულების ყველაზე კარგი ბალანსი აქვთ.

საპრიზო ადგილებისთვის დუბლიორთა ტურნირში კიდევ ორი კოლექტივი იბრძვის. ესენი არიან „ჟალგირისი" და „სპარტაკი". ჯერჯერობით ორივე გუნდს ერთნაირი მდგომარეობა და ერთნაირი პერსპექტივები აქვს, მაგრამ ჩვენზე „ჟალგირისმა" უკეთესი შთაბეჭდილება მოახდინა.

თბილისის „დინამოს" დუბლიორები, სამწუხაროდ, უთანაბროდ თამაშობენ: ერთ შეხვედრას რომ დამაჯერებლად ჩაატარებენ, მეორეში, იმავე მეტოქესთან, მათ ველარ იცნობთ. „სტროიტელის" დუბლიორებთან პირველი მატჩი თბილისელებმა მოიგეს — 104:100. ამ შეხვედრაში, როგორც ვიუწყებოდით, თავი გამოიჩინა ჭორჭმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ნ. დერიუგინმა.

განმეორებითი მატჩი „დინამომ" 26 ქულით წააგო (78:104). რა მოხდა ასეთი გადამწყვეტი ერთ დღე-ღამეში, ძნელი გასაგებია. გუნდმა საოცრად დუნედ და უფერულად ჩაატარა მეორე შეხვედრა (პირველ ყოვლისა კი წინა მატჩის გმირმა დერიუგინმა). თბილისის „დინამოს" ახალგაზრდულმა კოლექტივმა აქედანვე უნდა ისწავლოს ერთნაირი ძალით, ერთნაირი მონდომებით თამაში, ვინაიდან სწორედ ახლა ყალიბდება მისი ხასიათი. მერე უკვე სტილის გარდაქმნა ძნელი იქნება.

ნ. გუგუშვილი.

* * *

გთავაზობთ რამდენიმე გამოუქვეყნებელ შედეგს: „ჟალგირისი" — „კალევი" 86:83, 103:79, „დინამო" (მოსკოვი) — „სტატიბა" 103:94, 100:74.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 8 | 8 | 0 | 717-525 | 8 |
| „დინამო" (მ.) | 8 | 7 | 1 | 819-625 | 7 |
| „სპარტაკი" | 8 | 6 | 2 | 702-601 | 6 |
| „ჟალგირისი" | 8 | 6 | 2 | 700-639 | 6 |
| „სტროიტელი" | 6 | 4 | 2 | 550-498 | 4 |
| „კალევი" | 8 | 4 | 4 | 713-649 | 4 |
| „დინამო" (თბ.) | 8 | 3 | 5 | 623-723 | 3 |
| რტი | 8 | 2 | 6 | 642-724 | 2 |
| „სტატიბა" | 8 | 0 | 8 | 606-725 | 0 |
| „ურალმაში" | 10 | 0 | 10 | 714-1077 | 0 |

## დეკემბრის კალენდარი

**3.** „სპარტაკი" (ლენინგრადი) — რტი (მინსკი); **3-4.** „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „დინამო" (თბილისი), „სტატიბა" (ვილნიუსი) — „ჟალგირისი" (კაუნასი), **4-5.** ცსკა — „სტროიტელი" (კიევი), „კალევი" (ტარტუ) — „დინამო" (მოსკოვი); **8-9.** „ურალმაში" — „ჟალგირისი"; **12-13.** ცსკა — „სპარტაკი"; **13-14.** რტი — „დინამო" (მოსკოვი); **14-15.** „დინამო" (თბილისი) — „სტატიბა"; **15-16.** „კალევი" — „სტროიტელი"; **16-17.** რტი — „სპარტაკი"; **19-20.** რტი — „სტროიტელი"; **20-21.** „ჟალგირისი" — „სპარტაკი"; **21-22.** „დინამო" (მოსკოვი) — ცსკა; **23-24.** „სტატიბა" — „სპარტაკი"; **26-27.** „სტროიტელი" — ცსკა, „კალევი" — „დინამო" (თბილისი); **27-28.** „ურალმაში" — „დინამო" (მოსკოვი); **28-29.** „სტროიტელი" — „სტატიბა"; **29-30.** „სპარტაკი" — „დინამო" (თბილისი).







## თბილისი-74

# უმეღავათო ბრძოლაში

**III ტური.** გ. ლებრედო (კუბა) — ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი) 0:1, ს. ბოხოსიანი (ბულგარეთი) — თ. გიორგაძე (თბილისი) 0:1, რ. კინი (ინგლისი) — ა. ტუზოვსკი (სოხუმი) 0,5:0,5, ვ. ჩოკილტია (რუმინეთი) — ვ. ბაგიროვი (ბაქო) 0,5:0,5, ე. გუფელდი (თბილისი) — გ. სიგურიონსონი (ისლანდია) 1:0, ვ. შმიდტი — ა. შნაპიკი (ორივე — პოლონეთი) 1:0, რ. ხოლმოვი (მოსკოვი) — ვ. ნიჩევსკი (იუგოსლავია) 0,5:0,5. ნ. გურგენიძე — ე. უბილავას (ორივე — თბილისი) პარტია გადაიდო.

დღემდე ეს იყო ყველაზე შედეგიანი ტური. სამმა თბილისელმა მოჭადრაკემ გამარჯვება იზეიმა.

პაიკთა ცენტრის ამოძრავებით გიორგაძემ უაღრესად გაამძაფრა პოზიცია. ბოხოსიანმა სცადა კომბინაციის გზით „ოქროს თევზის" დაჭერა, მაგრამ მოტყუვდა. კომბინაცია რომ დასრულდა, ბულგარელს, მართალია, ეტლსა და პაიკში ორი მხედარი ჰქონდა, მაგრამ მისი სუსტი პოზიცია გამაგრებას მოითხოვდა. ამიტომ იგი იძულებული შეიქნა ერთი მხედარი ორ პაიკში შეეწირა, მაგრამ სიძნელეებისგან ვერც ამ მსხვერპლმა იხსნა.

გუფელდი ლაღად თამაშობდა. მისი ფიგურები შეხმატკბილებულად მოქმედებდნენ. ეს გარემოება აფიქრებდა ისლანდიელ ოსტატს და იგი დროის კონტროლს აღარ უწევდა. უკვე 24-ე სვლაზე მას საათზე ალამი ჩამოუვარდა.

ლებრედო თანაბარ პოზიციას თითქმის შეხვედრის ბოლომდე ინარჩუნებდა. ჩანს, გაანგარიშებაში შეცდა, რაც მყისვე გამოიყენა ნონამ. მოჭადრაკე ქალმა პაიკი შეინარჩუნა და მისი წინსვლით სტუმარს ფარ-ხმალი დააყრევინა.

სამაგალითო ბრძოლა გაიმართეს პოლონელმა მოჭადრაკეებმა. გაიმარჯვა უფრო გამოცდილმა შმიდტმა, რომელმაც ღია ხაზის სიკეთით კარგად ისარგებლა.

**IV ტური.** ხოლმოვი — ჩოკილტია 0,5:0,5, ტუზოვსკი — გუფელდი 0,5:0,5, სიგურიონსონი — ბოხოსიანი 1:0, გიორგაძე — ლებრედო 0,5:0,5, გაფრინდაშვილი — გურგენიძე 0,5:0,5, უბილავა — შმიდტი 0,5:0,5, ნიჩევსკი — შნაპიკი 0,5:0,5, ბაგიროვი — კინი 0:1.

4 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ნ. გაფრინდაშვილი — 3 ქულა, ე. გუფელდი, თ. გიორგაძე, რ. კინი — 2,5-2,5.

— უბილავამ კუს შეწირვით სამამათო იერიში წამოიწყო, — თქვა მემორიალის მსაჯმა, უხუცესმა საბჭოთა ოსტატმა, 75 წლის ს. სოროკინმა. ყველამ სადემონსტრაციო დაფას შევხედეთ. საქართველოს ჩემპიონს საცილიური დაცვისთვის დამახასიათებელი იერიში წამოეწყო, მაგრამ შმიდტის დაცვა ვერ შეარყია. პოლონელმა ოსტატმა მიიღო შეწირვა (სხვა გზა არ იყო) და უბილავამ მუდმივი ქიში გამოაცხადა.

— შექმნილ ვითარებაში კომბინაცია და ყაიმი კანონზომიერი შედეგია, თუმცა, არ დაგიმალავთ, მეგონა შავ მეფეს ვატყვევებდი, — გაიღიმა უბილავამ.

გიორგაძე კმაყოფილი იყო ყაიმით. მისი პოზიცია ნაადრევად წამოწყებული იერიშის შედეგად ბეწვზე ეკიდა. ლებრედომ ვერ მიაგნო უპირატესობის გამოყენების გზას.

ტუზოვსკი ყაიმების დიდი ტრფიალია: ოღონდ პარტია არ წააგოს და მზადაა ათიოდე სვლაში დაუზავდეს მეტოქეს. გუფელდთან ყაიმი კი მან დიდი ბრძოლის შემდეგ მოიპოვა. დიდოსტატი შეუპოვრად ცდილობდა პატარა უპირატესობის გამოყენებას. ტუზოვსკიმ თავისი პოზიციის ხარვეზები გამოასწორა და 28-ე სვლაზე სასურველ ზავს მიაღწია. ეს მისი ზედიზედ მეოთხე ყაიმია.

„დიდოსტატური ყაიმით" დასრულდა გაფრინდაშვილისა და გურგენიძის შეხვედრა, რომელშიც ფრანგული დაცვა გათამაშდა.

თ. ნინოშვილი.

* * *

სურათზე: ახე მიმდინარეობს მემორიალი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ჭადრაკი

# 1. შეხვედრები მოსკოვში

ამ ბოლო ხანს ჭადრაკის სამყარო დიდი ამბებით ცხოვრობს. მოსკოვში სწორედ მაშინ მოვხვდი, როცა ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შეხვდებოდით ბევრ გამოჩენილ მოჭადრაკეს, მსოფლიოს და საბჭოთა ჭადრაკის თავკაცებს. მათი ნაამბობი, ზოგიერთთან საუბარი ალბათ „ლელოს" მკითხველთათვისაც არ იქნება უინტერესო.

## ეივეს სჯერა

ფიდე-ს პრეზიდენტი, 73 წლის დიდოსტატი მ. ეივე საგანგებოდ ჩამოფრინდა ამსტერდამიდან მოსკოვში კარპოვ — კორჩნოის მატჩის საზეიმო დახურვაზე. იგი მატჩის სტარტსაც ესწრებოდა.

მსოფლიო ჩემპიონის სახელის უპირველეს პრეტენდენტად ა. კარპოვი პ. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გამოაცხადეს. საღამოს უამრავი გულშემატკივარი დაესწრო. ბევრი კარგი სიტყვა ითქვა. კარპოვს გამძლეობას უქებდნენ, კორჩნოის — შეუპოვარ ხასიათს.

ყველაზე მეტად ფიდე-ს პრეზიდენტის სიტყვა და კარპოვის თხოვნა დამამახსოვრდა.

— როცა ჩემი დაბადების 50 წლისთავს აღვნიშნავდი, — თქვა ეივემ, — არ ვიცოდი, რომ სამი დღის მერე ანატოლი კარპოვის სახით ქვეყანას ჭადრაკის ახალი გენიოსი მოევლინებოდა. იგი ისეთივე გენიოსია, როგორიც ყველასთვის საყვარელი მიხეილ ტალი.

დამსწრეებმა ლამის ჭერი ჩამოიღეს ტაშით ამ სიტყვების გაგონებაზე. როცა დარბაზი მიწყნარდა, ჰოლანდიელმა დიდოსტატმა განაგრძო:

— კარპოვმა პრეტენდენტთა ციკლში პირველად ითამაშა და პირველი ცდითვე მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის უფლება მოიპოვა. ეს ცოტას როდი ნიშნავს. რა ვუსურვოთ ამ ნიჭიერ ყმაწვილს? რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. თუ ახლა ვერ გახდა ამ წოდების მფლობელი, მჯერა სამი წლის მერე მაინც დაისაკუთრებს მას. ვიმედოვნებ, რომ კარპოვი ყველა დროის საუკეთესო მსოფლიო ჩემპიონი იქნება.

მხცოვანმა დიდოსტატმა გაიღიმა და თვალი შეავლო იქვე მყოფ კარპოვს:

— თუმცა ეს წოდება უკვე მიიკუთვნა მუჰამედ ალიმ. იგი აცხადებს, მსოფლიო ჩემპიონთა შორის ყველაზე ღირსეული ჩემპიონი მე ვარო. მაგრამ მოჭადრაკეები თავად ვასახელებთ ჩვენს შორის საუკეთესოს. მინდა ვუსურვო კარპოვს, როგორც აქ ითქვა, ჯარისკაცის ჯანმრთელობა და სარდლის გამჭრიახობა.

ფიდე-ს პრეზიდენტმა ილაპარაკა ვ. კორჩნოის შესახებაც, რომელსაც თამაშის შემოქმედებითი მხარე (ფრანგულ დაცვაში მიგნებული ახალი იდეები) და მებრძოლი ხასიათი შეუქო. ბოლო 6 წლის მანძილზე კორჩნოი კიდევ უფრო ძლიერად თამაშობს, თუმცა ასაკი მოემატაო.

ეივეს აზრით, კორჩნოი მსოფლიო პირველობის შემდგომ ციკლშიც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს.

## კარპოვის თხოვნა

შეპარძალებული სიტყვა წარმოთქვა კარპოვმა. დარბაზი სულგანაბული უსმენდა მას. ახალგაზრდა დიდოსტატმა დაახასიათა თავისი და მეტოქის შემოქმედება. აღნიშნა მატჩის კრიტიკული მომენტები. გამარჯვებულის აზრით, კორჩნოი თავისი ასაკის კოლეგებში ყველაზე ძლიერი დიდოსტატია.

— პრეტენდენტის უფლებისთვის თამაში მოჭადრაკისგან უდიდეს ფიზიკურ და სულიერ ძალას მოითხოვს, — ამბობს კარპოვი. — ეს უფლება რომ მომეპოვებინა, თითქმის ნახევარი წლის მანძილზე 60 პარტია ვითამაშე თანამედროვეობის უძლიერეს დიდოსტატებთან. 20 პარტია მოვიგე, 3 წავაგე და 37 ყაიმით დავამთავრე. მონაწილეობა მივიღე საზონათშორისო ტურნირში, მერე მეოთხედფინალურ მატჩში შევხვდი ლევ პოლუგაევსკის, ნახევარფინალურში — ბორის სპასკის, ფინალურში — ვიქტორ კორჩნოის. დამეთანხმებით, ეს დიდი დატვირთვაა.

კარპოვი სწორედ ამას ითვალისწინებდა, როცა თხოვნით მიმართა ფიდე-ს პრეზიდენტს მაქს ეივეს, აგრეთვე, იქ მყოფ ორივე ვიცე-პრეზიდენტს — იუგოსლაველ კაჟიჩსა და ფილიპინელ კამპანეს:

— მართალია, მსოფლიო პირველობის მატჩის ზოგი პუნქტი არც მე მომწონს, მაგრამ მზად ვარ ზუსტად დავიცვა ისინი. ჩემი თხოვნაა თქვენც მტკიცედ დაიცვათ ფიდე-ს კონგრესის მიერ მიღებული მატჩის დებულება. მატჩში არ უნდა განმეორდეს ის ამბები, რაც რეიკიავიკში მოხდა.

ამ განცხადებას ტაშით შეეგება ყველა, მათ შორის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტებიც.

მერე კარპოვმა პრეს-კონფერენციაზე გაიმეორა განცხადება. უცხოელმა და საბჭოთა ჟურნალისტებმა სეტყვასავით დააყარეს შეკითხვები.

აი, ზოგი შეკითხვა და პასუხი:

● ამბობენ, რა საჭიროა ფიშერ — კარპოვის მატჩი, როცა ფიშერი მაინც მოიგებს მასო. თქვენ რა აზრისა ხართ?

— მოგების იმედი რომ არ მქონდეს, მაშინ თამაში არც ეღირებოდა. დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, ფიშერს აუცილებლად მოვუგებ-მეთქი, მაგრამ, ვფიქრობ, გამარჯვების შანსი მეც მაქვს.

● ფიშერი გამარჯვების მისაღწევად ფსიქოლოგიასაც მიმართავს. როგორ ემზადებით ამის წინააღმდეგ?

— ეს ჩემი საიდუმლოებაა.

● ფიშერთან მატჩამდე თუ აპირებთ სადმე თამაშს?

— როგორ არა. ოღონდ ცოტას ვითამაშებ.

● ვინ იქნება თქვენი მწვრთნელი ფიშერთან მატჩში?

— კორჩნოისთან თამაშის დროს მეხმარებოდნენ ჩემი მუდმივი მწვრთნელი, დიდოსტატი ფურმანი, დიდოსტატი გელერი და საერთაშორისო ოსტატი რაზუვაევი. ვინ დამეხმარება ფიშერთან მატჩისთვის მზადებაში, ესეც ჯერჯერობით საიდუმლოა.

● დღეში რამდენ საათს მეცადინეობთ ჭადრაკში?

— კორჩნოისთან მატჩის დროს 8 საათს ვვარჯიშობდი, თუ მეტს არა.

● როგორ ფიქრობთ, შედგება თუ არა ფიშერ — კარპოვის მატჩი?

— შედგება. მაგრამ, თუნდაც არ შედგეს, მე მოგებული ვიქნები: მეცადინეობა ტყუილად არ ჩამივლის: ავიმაღლებ თამაშის კლასს, გავამდიდრებ ჩემს შემოქმედებას. ყოველივე ეს სხვა დროსაც გამომადგება. ცოტა ხანს დასვენების შემდეგ მატჩისთვის მზადებას შევუდგები.

## რა ისმის ფიშერის შესახებ?

ეს მეც მაინტერესებდა და ბევრს ვეკითხებოდი. კარგა ხანია მსოფლიო ჩემპიონის ავალ-დასავალი არავინ იცის. ხმები კი სხვადასხვაგვარი ვრცელდება.

— ითამაშებს თუ არა ფიშერი მატჩს, ეს თვითონაც არ იცის, — ამბობს ფიდე-ს პრეზიდენტი. — იგი სწრაფად იცვლის აზრს. ფიდე და სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია ყველა ღონეს ვიხმართ, რომ ფიშერ — კარპოვის მატჩი შედგეს. ეს ჭადრაკის ინტერესებისთვის არის საჭირო.

ეივეს უნახავს მსოფლიო ჩემპიონი, მაგრამ ფიშერს გარკვეულად არაფერი უთქვამს. ალბათ გახსოვთ, რომ ნიცაში XXI საჭადრაკო ოლიმპიადის დროს ფიშერმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე უარი თქვა. მას 1 აპრილამდე დრო აქვს, რომ თავისი შეცდომა გამოასწოროს და მატჩის თაობაზე თანხმობა განაცხადოს. უკანასკნელი ცნობებით, რაც უცხოურ პრესაში იბეჭდება, ფიშერი ჭადრაკისკენ მობრუნდა.

1972 წელს ბ. სპასკისთან გამარჯვების შემდეგ მას ერთი სერიოზული პარტიაც არ უთამაშია, მაგრამ მკვიდრები ამბობენ, რომ ფიშერს ჭადრაკში მუშაობა არასოდეს შეუწყვეტია. ამ ბოლო ხანს იგი კარპოვის პარტიებსაც კი აგროვებდა. საგანგებოდ გრძნობდა, რომ ახალგაზრდა საბჭოთა დიდოსტატი იქნებოდა მისი მეტოქე.

სწორედ მოსკოვში ჩვენი ყოფნის დროს ყოველკვირეულმა „64-მა" გამოაქვეყნა ფიშერის შესახებ რამდენიმე ცნობა.

იუგოსლაველ დიდოსტატ ს. გლიგორიჩს მანილის საერთაშორისო ტურნირის დამთავრებისას უნახავს ფიშერი. მისი აზრით, მსოფლიო ჩემპიონი უახლოეს ხანში გამოაცხადებს, დაიცავს თუ არა თავის ტიტულს.

ამერიკული გაზეთები აქვეყნებენ ცნობას, რომ ფიშერმა ქალაქ პასადენაში, სადაც ცხოვრობს, თავისი ახლო მეგობრები და ნათესავები შეკრიბა სათათბიროდ. ამერიკული გაზეთი „საკრამენტო ბი" ირონიულად შენიშნავს, რომ ეს თათბირი უფრო იყო გასაიდუმლოებული, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა. არის ცნობა, რომ ფიშერი ჩამოსცილდა თავის რელიგიურ სექტას და მთლიანად მატჩისთვის მზადებით არის დაკავებული.

— ფიშერი ითამაშებს მატჩს, თუმცა პირველი პარტიის დაწყებამდე ეს საჭოჭმანო იქნება, — გვითხრა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა.

თ. ჭიორგაძე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

მოსკოვი — თბილისი.

# ტრადიციული პრიზები

დამთავრდა სსრ კავშირის XXXVI ჩემპიონატი. განაწილდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთის რედაქციებისა და სპორტული ორგანიზაციების მიერ დაწესებული სპეციალური პრიზები.

დიდი ანგარიშით მოგებული ყველაზე მეტი მატჩისთვის „ფუტბოლ-ჰოკეის" რედაქციის პრიზი ძოიპოვა მოსკოვის „სპარტაკმა", რომელმაც მოუგო „ფახთაქორს" — 4:1 და 3:0, „დნეპრს" — 4:1, „ქაირათს" — 4:0, „ჩერნომორეცს" — 3:0.

ბ. ფედოტოვის პრიზი, რომელიც არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის მიერაა დაწესებული ყველაზე მეტი გატანილი ბურთისთვის, მიეკუთვნათ კიევის დინამოელებს, რომლებმაც 49 ბურთი გაიტანეს მეტოქეთა კარში.

გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო სხვაობისთვის უკრაინის ჟურნალ „სტარტის" მიერ დაწესებული პრიზი ერგო კიევის „დინამოს", რომლის მაჩვენებელია +25.

აგრესიული სტუმრისათვის უკრაინის ახალგაზრდულ გაზეთ „კომსომოლსკოე ზნამიას" დაწესებული აქვს პრიზი. იგი მოიპოვეს მოსკოვის სპარტაკელებმა, რომლებმაც მეტოქეთა მინდვრებზე 16 ქულა აიღეს.

გამარჯვებისათვის სწრაფვისათვის პრიზი „სოვეტსკაია როსიის" რედაქციის დაწესებულია. იგი წილად ხვდათ ერევნელ ფეხბურთელებს, რომლებმაც მოიგეს 3 მატჩი, სადაც თავდაპირველად წინ მათი მეტოქენი იყვნენ.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას დაწესებული აქვს პრიზი კლუბისთვის, რომელიც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს ძირითად და სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრების ჯამში. მისი მფლობელები გახდნენ კიევის დინამოელები, რომლებსაც 86 ქულა აქვთ (40+46).

პროგრესის თასი („რაბოჩაია გაზეტას" პრიზი) გადაეცა ოდესის „ჩერნომორეცს", რომელმაც თავისი დებიუტი უმაღლეს ლიგაში III საპრიზო ადგილით აღნიშნა.

დუბლიორთა პრიზი, დაწესებული სსრ კავშირის სპორტკომიტეტის მიერ, მოიპოვეს კიევის დინამოელებმა, რომლებსაც 46 ქულა აქვთ.

პრიზი სამართლიანი თამაშისთვის ჟურნალ „ჩელოვეკ ი ზაკონის" რედაქციამ გადასცა ოდესის „ჩერნომორეცის" ფეხბურთელებს. „ჩერნომორეცმა" და მოსკოვის „ტორპედომ" ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა მიიღეს, მაგრამ, ვინაიდან ოდესელებმა უფრო მაღალი ადგილი დაიკავეს გათამაშებაში, პრიზიც მათ ერგოთ.

## ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი

## I ლიგაში: „ალგა", „რუბინი", „მეტალისტი"

სოჭი, 30 ნოემბერი. დამთავრდა II ლიგის 6 საუკეთესო გუნდის ტურნირი, რომლებიც იბრძოდნენ I ლიგაში გადასვლის უფლებისთვის.

გათამაშების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ეს საგზური მოიპოვეს ფრუნზეს „ალგის" ფეხბურთელებმა, რომლებმაც ბოლო მატჩში ყაზანის „რუბინთან" თავიანთს აქტივს კიდევ 1 ქულა მიუმატეს: ყაზანელი უშაკოვის მიერ 30-ე წუთზე გატანილი გოლი მატჩის დასასრულს გაქვითა ტარანქინმა — 1:1. ამ ქულამ „რუბინსაც" I ლიგაში თამაშის უფლება მოუტანა.

მესამე საგზური წილად ხვდა ხარკოვის „მეტალისტს", რომელმაც ანგარიშით 3:0 დაამარცხა „იანგიერი". ორი ბურთი გაიტანა კოკორამ, ერთიც — კრაშარენკომ.

გროზნოს „თერგმა" მოუგო ყარაგანდის „შახტიორს" — 3:0 (მიხეევი, კუზენკო, იაკუშკინი).

სოჭის გაზეთ „ჩერნომორსკაია ზდრავნიცას" მიერ დაწესებული პრიზი გადაეცა „რუბინის" მოთამაშეს ი. გაინუტდინოვს, რომელმაც 3 ბურთი გაიტანა.

### საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ალგა" | 5 | 2 | 3 | 0 | 3—1 | 7 |
| „რუბინი" | 5 | 2 | 2 | 1 | 9—6 | 6 |
| „მეტალისტი" | 5 | 2 | 2 | 1 | 7—5 | 6 |
| „თერგი" | 5 | 2 | 1 | 2 | 9—6 | 5 |
| „შახტიორი" | 5 | 1 | 1 | 3 | 4—8 | 3 |
| „იანგიერი" | 5 | 0 | 3 | 2 | 4—10 | 3 |

## II ლიგა III ზონა

### სსრ კავშირის პირველობა გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (ვლადიმირი) | 38 | 21 | 12 | 5 | 62—27 | 54 |
| „დინამო" (ბათუმი) | 38 | 20 | 12 | 6 | 55—29 | 52 |
| „დილა" (გორი) | 38 | 22 | 7 | 9 | 86—41 | 51 |
| „დინამო" (ვოლოგდა) | 38 | 21 | 9 | 8 | 62—38 | 51 |
| „ისკრა" (სმოლენსკი) | 38 | 20 | 9 | 9 | 59—31 | 49 |
| „ურალანი" (ელისტა) | 38 | 20 | 7 | 11 | 52—37 | 47 |
| „ხიმიკი" (ძერჟინსკი) | 38 | 16 | 11 | 11 | 54—35 | 43 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 38 | 16 | 9 | 13 | 60—40 | 41 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 38 | 16 | 9 | 13 | 46—53 | 41 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 38 | 17 | 5 | 16 | 57—52 | 39 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 38 | 10 | 17 | 11 | 56—53 | 37 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 38 | 15 | 7 | 16 | 47—48 | 37 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 38 | 14 | 6 | 18 | 50—67 | 34 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 38 | 11 | 12 | 15 | 42—62 | 34 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 38 | 13 | 7 | 18 | 54—67 | 33 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 38 | 12 | 7 | 19 | 38—50 | 31 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 38 | 11 | 8 | 19 | 38—58 | 30 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 38 | 10 | 3 | 25 | 37—63 | 23 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 38 | 4 | 9 | 25 | 27—82 | 17 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 38 | 6 | 4 | 28 | 26—75 | 16 |

## [illegible]

### ჰიპნოზმა უშველა

ცნობილი ფეხბურთელი, იტალიის ნაკრების წევრი ლუიჯი რივა თამბაქოს დიდი ტრფიალი იყო. მას „კვამლიან რივას" უწოდებდნენ, ვინაიდან 50-60 სიგარეტი რივასთვის ყოველდღიურ ულუფას წარმოადგენდა.

მაგრამ ფეხბურთი და თამბაქოს წევა ვერ უთავსდება ერთმანეთს. რივა ბევრს ეცადა „საკუთარი ძალებით" დაენებებინა თავი ამ მავნე ჩვეულებისთვის, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ერთი ნაცნობის რჩევით, ფეხბურთელი ინკოგნიტოდ გაემგზავრა ერთ-ერთ ცნობილ შვეიცარიელ ექიმთან და შინ სავსებით განკურნებული, თამბაქოს მიმართ სრულიად გულგრილი დაბრუნდა.

რით გადააჩვიეს რივა თამბაქოს? — ჰიპნოზით. ახლა იტალიელ ფეხბურთელთან ნაცნობ-მეგობრებისა თუ უცნობი ადამიანების რიგი დგას, რომლებიც მას შვეიცარიელ ჰიპნოტიზიორთან სარეკომენდაციო მიმართვას სთხოვენ.

### „ჰაეროვანი" ბუცები

გფრ-ის ნაკრების განთქმული ფეხბურთელების ბეკენბაუერისა და ოვერატის ბუცები 125 გრამს იწონის. ეს მათი საფეხბურთო „სამზარეულოს" ერთ-ერთი საიდუმლოებაა. სპეციალური მასალისგან გაკეთებული ბუცები მსოფლიო ჩემპიონებს საშუალებას აძლევს მსუბუქად და სწრაფად იმოძრაონ მინდორზე.

ნორმალური ბუცები გერმანელ ვარსკვლავებს მეტისმეტად მძიმედ მიაჩნიათ.

### „ვიყიდი ჯავშნოსანს"...

ბრაზილიურ გაზეთებში ყოველდღიურად ქვეყნდება ათასგვარი კურიოზული განცხადებები. იქ ამით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ „ულტიმა ორაში" ამას წინათ დაბეჭდილმა ერთმა განცხადებამ მაინც მიიპყრო საყოველთაო ყურადღება: „ვიყიდი ჯავშნოსან მანქანას, კარგად მოვლილს, ფეხბურთის მატჩებიდან შინ უხიფათოდ დასაბრუნებლად. არბიტრი ჯ. სანტეირა".

### სილამაზის კონკურსი

გფრ-ის გაზეთმა „ბილდ-ცაიტუნგმა" მსოფლიოს X ჩემპიონატის დღეებში თავის მკითხველ ქალთა შორის მოაწყო კონკურსი ყველაზე ლამაზი ფეხბურთელების გამოსავლენად.

პირველი პრიზი და „მისტერ ჩემპიონატი-74"-ის წოდება მიიღო დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელმა ოვერატმა. მეორე პრიზი ერგო შვეციის ნაკრების თავდამსხმელს ედსტრიომს, მესამე — ავსტრალიელ კემპბელს.

## ჩემპიონატები, თასები, ლიგები

### ინგლისი

შაბათს გამართულ მორიგ ტურში სიურპრიზი „სტოკ სიტის" ეკუთვნის. მის კარს საიმედოდ იცავდა 320 ათას გირვანქა სტერლინგად ნაყიდი შილტონი, ხოლო მეორე ტაიმში თავდამსხმელმა სმითმა შილტონის ყოფილი კლუბის „ლეისტერ სიტის" კარში ერთადერთი გოლი გაიტანა (1:0) და „სტოკ სიტიმ" ამ გამარჯვების წყალობით ლიდერობა იგდო ხელთ.

ნიუკასლში ყოფილი ლიდერი „მანჩესტერ სიტი" ადგილობრივ „ნიუკასლ იუნაიტედს" შეხვდა. აქ თავი გამოიჩინა ბრიტანეთის ერთ-ერთმა საუკეთესო ახალგაზრდა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მაკდონალდმა, რომელმაც 2 გოლი გაიტანა მანჩესტერელთა კარში — 2:1.

„კოვენტრი სიტის" თავდამსხმელმა სტეინმა ანგარიში გახსნა ერთ-ერთ ლიდერთან — „ლივერპულთან" შეხვედრაში, მაგრამ კიგანმა თავური დარტყმით თანაფარდობის აღდგენა შეძლო — 1:1.

„იფსვიჩ თაუნმა" შინ აჯობა „კარლაილ იუნაიტედს" (3:1), ხოლო ლივერპულის „ევერტონმა" ასევე საკუთარ მინდორზე მოუგო „ბირმინგემ სიტის" — 4:2.

ჩემპიონმა „ლიდს იუნაიტედმა" შინ სძლია ლონდონის „ჩელსის" — 2:0, რომელიც XX (!) ადგილზეა.

დანარჩენი მატჩების შედეგები: „არსენალი" — „მიდლსბრო" 2:0, „ლუტონ თაუნი" — „ბერნლი" 2:3, „შეფილდ იუნაიტედი" — „ტოტენჰემ ჰოტსპური" 0:1, „ქუინზ პარკ რეინჯერსი" — „ვესტ ჰემ იუნაიტედი" 0:2.

25 ქულით ლიდერობს „სტოკ სიტი". 24-24 ქულა აქვთ: „ევერტონს", „ლივერპულს", „იფსვიჩ თაუნს" და „მანჩესტერ სიტის".

II ლიგის ლიდერმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" 61 ათასი მაყურებლის (წლევანდელი რეკორდი მთელი ბრიტანეთისთვის) თვალწინ ანგარიში გახსნა (პირსონი), მაგრამ მანჩესტერელთა მეტოქის „სანდერლენდის" თავდამსხმელმა ჰიუზმა რამდენიმე წუთში პასუხად ორი გოლი გაიტანა — 2:1. ფინალურ სასტვენამდე მანჩესტერელებმა მორგანმა და დევისმა მასპინძელთა გააფთრებული შეტევები გოლებით დააგვირგვინეს — 3:2. ახლა „მანჩესტერ იუნაიტედი" კვლავ 6 ქულით უსწრებს უახლოეს მეტოქეს „სანდერლენდს".

### შოტლანდია

შაბათს ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — გლაზგოს „სელტიკმა" სტუმრად მოუგო „მორტონს" — 1:0. ხოლო „გლაზგო რეინჯერსმა" შინ აჯობა „დანდი იუნაიტედს" — 4:2.

გაგაცნობთ ლიდერებს:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სელტიკი" | 14 | 37:11 | 24 |
| „გლაზგო რეინჯერსი" | 14 | 39:13 | 24 |
| „ჰიბერნიენი" | 14 | 29:14 | 20 |

### ესპანეთი

კვირას გათამაშების ლიდერი — მადრიდის „რეალი", რომელსაც ჯერ არც ერთი მატჩი არა აქვს წაგებული, შინ შეხვდა „ელჩეს". ძე-12 წუთზე ბრაიტნერის გადაცემით ანგარიში მადრიდელმა ნეცერმა გახსნა. რამდენიმე წუთის შემდეგ ნეცერის გადაცემით ამანსიომ მეორე გოლი გაიტანა, ხოლო სულ მალე ცენტრალურმა თავდამსხმელმა სანტილიანამ თავური დარტყმით მესამედ აიღო „ელჩეს" კარი — 3:0. შესვენებამდე ნეცერის გადაცემით რობერტომ მეოთხე გოლი გაიტანა სტუმართა კარში, რომლებმაც მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა შეძლეს. მეორე ტაიმში რობერტომ თავით გაიტანა მეხუთე გოლი მეკარე ესტებანის კარში — 5:1. კომენტატორთა აზრით, „რეალი" წლეულს ბევრად უკეთ თამაშობს, ვიდრე შარშან.

„ვალენსიამ" შინ ფრედ ითამაშა მადრიდის „ატლეტიკოსთან" — 1:1. „მალაგამ" საკუთარ მინდორზე მოუგო ბარსელონის „ესპანიოლს" — 2:0. ბილბაოში ადგილობრივმა „ატლეტიკომ" წააგო „ბეტისთან" (0:1) და ბასკები ბოლო ადგილზე აღმოჩნდნენ.

საუკეთესო სნაიპერია რობერტო (მადრიდის „რეალი") — 7 გოლი.

10 ტურის შემდეგ ლიდერობს მადრიდის „რეალი" — 17 ქულა. „ბარსელონას" 15 ქულა აქვს, ხოლო „ესპანიოლს" — 13.

### გფრ

შაბათს ქვეყნის გათამაშების აუტსაიდერმა — ადგილობრივმა „როტ-ვაისმა" ანგარიშით 5:1 დაამარცხა ლიდერი — ოფენბახის „კიკერსი". „ბოხუმმა" საკუთარ მინდორზე მოუგო (3:0) ჩემპიონს — მიუნჰენის „ბაიერნს" და ჩემპიონი ახლა XIV ადგილზეა.

მაინის ფრანკფურტის „აინტრახტმა" შინ მოუგო ბოლო ადგილზე მყოფ „ვუპერტალერ შპორტფერაინს" — 5:0. ორ-ორი ბურთი გაიტანეს ფრანკფურტელებმა გრაბოვსკიმ და ჰოლცენბაინმა.

„ჰამბურგერ შპორტფერაინმა" საკუთარ მინდორზე აჯობა დიუსელდორფის „ფორტუნას" — 2:1.

დუისბურგში დასავლეთ ბერლინის „ჰერტამ" ანგარიშით 3:1 აჯობა ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდს და ლიდერობა დაისაკუთრა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჰერტა" | 15 | 27:15 | 21 |
| „აინტრახტი" (ბრაუნშვაიგი) | 15 | 24:14 | 20 |
| „ჰამბურგერ შპორტფერაინი" | 15 | 24:14 | 20 |
| „კიკერსი" (ოფენბახი) | 15 | 35:27 | 20 |
| „აინტრახტი" (ფრანკ.) | 15 | 43:20 | 18 |

### ბელგია

გათამაშების ლიდერმა — მოლენბეკის „რასინგ ვიტმა" სტუმრად ქულა დაკარგა „ანტვერპენთან" — 3:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რასინგ ვიტი" | 15 | 35:14 | 23 |
| „ანდერლეხტი" (ბრიუსელი) | 15 | 28:7 | 21 |
| „ფკ ბრიუჟი" | 15 | 22:15 | 19 |

### ავსტრია

16 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| „რაპიდი" (ვენა) | 15 | 33:10 | 21 |
| „სვაროვსკი-ვაკერი" (ინსბრუკი) | 16 | 29:18 | 19 |
| ვოესტ (ლინცი) | 16 | 24:17 | 19 |

### შვეიცარია

13 ტურის შემდეგ ლიდერობს ჩემპიონი „ციურიხი".

| | | | |
|---|---|---|---|
| „ციურიხი" | 13 | 36:8 | 20 |
| „ვინტერტური" | 13 | 26:16 | 17 |
| „სიონი" | 13 | 22:11 | 16 |

### გდრ

10 ტურის შემდეგ 9 გოლით სნაიპერთა სიას ლიდერობს ანდრიხი („ფორვერტსი"). პომერენკე („მაგდებურგი") 8 გოლით II ადგილზეა.

ლიდერთა სამეული:

| | | | |
|---|---|---|---|
| „კარლ ცაისი" (იენა) | 10 | 18:4 | 18 |
| „მაგდებურგი" | 10 | 28:12 | 17 |
| „დინამო" (დრეზდენი) | 10 | 16:13 | 13 |

### ჩეხოსლოვაკია

გათამაშებას კვლავ ლიდერობს ჩემპიონი და თასის მფლობელი — ბრატისლავის „სლოვანი", რომელმაც სტუმრად მოუგო — „ტრინეცს" — 3:2.

საუკეთესო სნაიპერია გალისი („კოშიცე") — 13 გოლი. 10 გოლით მეორეა ი. ჩაპკოვიჩი („სლოვანი").

| | | | |
|---|---|---|---|
| „სლოვანი" | 14 | 38:18 | 18 |
| „კოშიცე" | 14 | 38:22 | 17 |
| „ინტერი" (ბრატისლავა) | 14 | 30:22 | 16 |

### იუგოსლავია

ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — სპლიტის „ჰაიდუკმა" ლიუბლიანაში წააგო ადგილობრივ „ოლიმპიასთან" (1:2), ხოლო მისმა მეტოქემ ლიდერობისთვის ბრძოლაში, ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ" შინ მოუგო „პროლეტერს" — 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჰაიდუკი" | 16 | 30:15 | 23 |
| „ცრვენა ზვეზდა" | 16 | 30:16 | 22 |
| „ვოივოდინა" (ნოვი სადი) | 16 | 25:15 | 20 |

### პოლონეთი

ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — ხოჟუვის „რუხმა" შინ მოუგო სოსნოვეცის „ზაგლემბეს" (1:0) და ლიდერის პოზიციები განიმტკიცა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რუხი" | 13 | 32:7 | 23 |
| „სტალი" (მელეცი) | 14 | 19:10 | 20 |
| „ვისლა" (კრაკოვი) | 14 | 18:14 | 16 |

### უნგრეთი

14 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| „დოჟა უიპეშტი" | 14 | 41:13 | 26 |
| „ჰონვედი" | 14 | 30:9 | 22 |
| „ფერენცვაროში" | 14 | 25:12 | 18 |

### ბულგარეთი

სოფიის „სლავიამ" შინ აჯობა პლოვდივის „თრაკიას" (3:1) და ლიდერობა იგდო ხელთ.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სლავია" | 13 | 28:14 | 17 |
| „ლევსკი-სპარტაკი" (სოფია) | 13 | 26:15 | 16 |
| „ლოკომოტივი" (პლ.) | 13 | 29:23 | 16 |

(საქ. ინფ.).

## სახელოვანი გუნდი უცხოეთში

**დამასკო, 1 დეკემბერი.** ცსკა-ს ფეხბურთელებმა თავიანთი მეორე მატჩი ჩაატარეს არაბეთის რესპუბლიკა სირიაში. მათი მეტოქე იყო ამ ქვეყნის არმიელთა ნაკრები.

34-ე წუთზე ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა, 3 წუთის შემდეგ კი სმირნოვმა საპასუხო გოლი გაიტანა — 1:1.

## კოტრიკაძემ აიღო პენალტი

გასულ კვირას ფოთში შედგა თბილისისა და ადგილობრივ ვეტერან ფეხბურთელთა ამხანაგური შეხვედრა. სტუმართა გუნდში იყვნენ ს. კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჩოხელი, გაგუა, მელაშვილი, მესხი, თორაძე და სხვ. ფოთელთა ღირსებას იცავდნენ კომახიანი, ბასილაია, გ. და ი. ხოფერიები, კუპრავა, შელეგია, გვაზავა, ბახტაძე და სხვ.

მატჩს სჯიდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. პაიჭაძე.

საინტერესო თამაში მოიგეს თბილისელებმა — 4:1. აღსანიშნავია, რომ მატჩის მსვლელობაში თბილისელთა მეკარემ ს. კოტრიკაძემ აიღო 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

გ. ბასილაია.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ფოთი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

4 დეკემბერს საქართველოს ალპიურ კლუბში (ლენინის ქ. № 87) გაიმართება ძალოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი.

დასაწყისი 15 ს.

## თბილისი სპორტულ [illegible]

**ჭადრაკი.** ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). ვ. გოგლიძის III მემორიალი. 8-16 დეკემბერი. 3 დეკემბერს — გადადებული პარტიების დამთავრება, 4-ში — VI ტური. დასაწყისი 16 ს.

• • •

9 დეკემბერს მოეწყობა საერთაშორისო ოსტატ რ. კინის (ინგლისი) ლექცია „საჭადრაკო ციებ-ცხელება ინგლისში" და ერთდროული თამაშის სეანსი. დასაწყისი 19 ს. იმავე დღეს შედგება საერთაშორისო ოსტატ გ. სიგურიონსონის (ისლანდია) ლექცია „სპასკი — ფიშერის მატჩი დამსწრის თვალით" და ერთდროული თამაშის სეანსი. დასაწყისი 19 ს. 30 წთ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04848